გეოპოლიტიკა და საქართველოს უსაფრთხოების პრობლემები

ჯემალ გაბელია
სტუ-ს პროფესორი

თათია ხუნტუა
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია „საქართველოს გეოპოლიტიკა და უსაფრთხოების პრობლემები“. ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებისა და გეოპოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით, ყურადღება გამახვილებულია საგარეო პოლიტიკის სამ ძირითად თეორიაზე. სახელმწიფოს მიერ გატარებული პირველი - კლასიკური - საგარეო პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს ცნობიერ და რაციონალურ საქმიანობას. მეორე - ორგანიზაციული - საერთაშორისო აქტებისა და პროცესების შედეგად განხორციელებული ქმედებები. მესამე არის სხვადასხვა სახელმწიფოსა და ლობისტურ ჯგუფებს შორის ურთიერთობებისა და პოლიტიკური ვაჭრობის შედეგი. აღნიშნულია, რომ ამ სამი თეორიის ერთობლივი, კომპლექსური შესწავლა/გამოყენება უნდა მოხდეს, რადგან დღევანდელი დაძაბული გარემო მოითხოვს ხელისუფლების სწრაფ და მოქნილ რეაგირებას, რათა ქვეყანაში მაინც შენარჩუნდეს მშვიდობა და უზრუნველყოფილი იყოს სტაბილური განვითარება. ეკონომიკური პროცესები. ნაშრომში ასევე განხილულია ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში სახელმწიფო სტრუქტურების როლის შემდგომი გაძლიერების საკითხები.

საკვანძო სიტყვები: გეოპოლიტიკა; ეროვნული უსაფრთხოება; საგარეო პოლიტიკა; რეალური სტატუსი; მოდერნიზმი; სტრატეგიული პარტნიორობა.

GEOPOLITICS AND SECURITY PROBLEMS OF GEORGIA

Jemal Gabelia
Professor of GTU
Tatia Khuntua
PhD student of Caucasus International University

ABSTRACT

"Geopolitics and security problems of Georgia" are discussed in the article. Taking into account the country's national security interests and geopolitical situation, attention is focused on three main foreign policy theories. The first - classical - foreign policy conducted by the state, which implies conscious and rational activity. The second - organizational - actions implemented as a result of international acts and processes. The third is the result of relations and political trade between various states and lobby groups. It is noted that a joint, complex study/use of these three theories should be done, as the current tense environment requires a quick and flexible response from the government, in order to maintain peace at least for the country and ensure the steady development of economic processes. The paper also discusses issues of further strengthening of the role of state structures in ensuring national security.

Keywords: Geopolitics; National Security; Foreign Policy; Real Status; Modernism; Strategic Partnership.

შესავალი

მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიის განმავლობაში უსაფრთხოების უზრუნველყოფაა ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი მიზანი, რადგან ის თანდაყოლილი იყო და არის საზოგადოების ყველა სოციალურ სტრუქტურებში - დაწყებული კონკრეტული ინდივიდიდან ადამიანთა ნებისმიერ გაერთიანებით დამთავრებული, სოციალური ჯგუფი, საზოგადოება, სახელმწიფო. სტაბილური და განვითარებადი ეკონომიკის შექმნა/შენარჩუნებისათვის გასათვალისწინებელია მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა. ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია მძლავრი და დინამიური სახელმწიფო ინტიტუტების შექმნა, რომელთაგანაც უმთავრესია ეროვნულ ინტერესებზე დაფუძნებული ძალოვანი უწყებები და განათლების სისტემა. ამ რთულ ინფორმაციულ და ტექნოლოგიურ ვითარებაში დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოების ეროვნული ინტერესების დაცვა პრიორიტეტად მიიჩნევა.

იმის გამო, რომ მსოფლიო პოლიტიკამ გლობალური, მრავალპოლარული, მრავალზომიერი და მრავალსაფეხურიანი ხასიათი მიიღო, დღეს ნებისმიერი სახელმწიფოს **„რეალური სტატუსი“** მხოლოდ მისი ტერიტორიების სიდიდითა და მოსახლეობის რაოდენობით არ განისაზღვრება. ამ „სტატუსის“ დასადგენად გეოპოლიტიკა მრავალგანზომილებიან, კომპლექსურ კვლევებს საჭიროებს.[1]

1 გასანოვი ალი., გეოპლიტიკა, თბ. 2015-11-12

ყოველივე, ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობის შემდგომი სრულყოფა, თავის მხრივ, გულისხმობს გეოპოლიტიკური ძალისა და სახელმწიფოს როლის გაძლიერებას, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

ციფრული ტექნიკისა და ტექნოლოგიის განვითარებამ 21-ე საუკუნეში ეროვნული უსაფრთხოების ქვაკუთხედად ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარება და კონკურენტუნარიანობა გახადა, რომლის უსაფრთხოების გარანტად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ძალოვანი უწყებები გვევლინება. ამავე დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება განათლების სისტემის ეროვნულ საწყისებზე დაყრდნობით თანამედროვე რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანას. პირდაპირ უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ისე ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობა დიდწილად არის დამოკიდებული საგარეო პოლიტიკის ეფექტურ გატარებაზე. თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკური პროცესები, მეტ ყურადღებას მოითხოვენ ძირითადი სამოქმედო პრინციპების ფორმირებისა და გატარების კუთხით. ეს ეხება აბსოლიტურად ყველა ქვეყანას, მათი წონისა და ავტორიტეტის მიუხედავად. [2]

გასათვალისწინებელია, რომ „საგარეო პოლიტიკა“ სახელმწიფოს მხრიდან სახელმწიფოებთან ქმედებებისა და უკუქმედებების ერთობლიობას წარმოადგენს, რომელიც შიდა სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო პროცესების გავლენით ყალიბდება. საგარეო პოლიტიკაზე გავლენას ახდენს ისეთი შიდა სახელმწიფოებრივი ფაქტორები, როგორიცაა ტერიტორიის სიდიდე, სარესურსო ბაზა, ეკონომიკის განვითარების დონე, დემოგრაფიული ვითარება, განათლება, იდეოლოგია და სხვა. აღნიშნულიდან გამომდინარე სახელმწიფოს უსაფრთხოების ეროვნული კონცეფცია წარმოადგენს მთავარ საყრდენ დოკუმენტს მისი საგარეო პოლიტიკური მისწრაფებების გარკვეულ პერიოდში.

ძირითადი ტექსტი

მესამე ათასწლეულის დასაწყისში საინფორმაციო და კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარებამ მსოფლიო „ერთიან სივრცულ ჩარჩოში“ მოაქცია. ერთიანი ვირტუალური ხასიათი შესძინა მას. თანამედროვე ადამიანისათვის ადრე არსებული ტრადიციული სივრცე და პლანეტის დროითი განზომილება და ის კატეგორიები, ცნებები, რომლებიც გეოსტრატეგიის საფუძვლების შეადგენდა წარსულში დარჩა.

საუკუნეზე მეტია, რაც მსოფლიო პოლიტოლოგიაში ტერმინი გეოპოლიტიკა გამოიყენება და მთელი ამ დროის მანძილზე არ წყდება კამათი და დისკუსიები გეოპოლიტიკის ზღვარისა და არსებობის მიმართ. დღემდე, როგორც კლასიკურ, ასევე თანამედროვე გეოპოლიტიკას, ამ ცნების უნივერსალური ფორმულა არ გააჩნია. მკვლევარების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ტერმინი გეოპოლიტიკა გავრცელებული მნიშვნელობით არის გეოგრაფიული და პოლიტიკური ფაქტორების იმგვარი კომბინაცია, რომელიც გავლენას ახდენს სახელმწიფო საშინაო და საგარეო ფაქტორებზე[3]. ამასთან ერთად, გეოპოლიტიკა სახელმწიფოსთვის გარე იდეოლოგიური ზემოქმედების ფუნქციას ასრულებს. პირველად ტერმინი გეოპოლიტიკა სამეცნიერო ლიტერატურაში შვედმა მეცნიერმა რუდოლფ ჩენელმა დაამკვიდრა, ხოლო 1919 წელს მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორმა კარლ ჰაუს ჰჰოფერმა ჩამოაყალიბა გეოპოლიტიკური სკოლა. სსრკ კავშირში ეს ტერმინი ნეგატიური მნიშვნელობით გამოიყენებოდა, რადგან იგი ასოცირდებოდა ფაშისტურ მოძრაობასთან. სსრკ-ს დაშლის შემდეგ ტერმინი გეოპოლიტიკა მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში გავრცელდა. ამერიკელი მეცნიერი გ. ალისონი[4] მის მიერ ჩატარებული მეცნიერული კვლევების შედეგად საგარეო პოლიტიკის სამ ძირითად თეორიას გამოყოფს[5]. პირველი კლასიკური - სახელმწიფოს მიერ გატარებული საგარეო პოლიტიკა არის გაცნობიერებული და რაციონალური საქმიანობა. მეორე, ორგანიზაციული - საერთაშორისო აქტებისა და პროცესების შედეგად განხორციელებული ქმედებები. მესამე კი - სხვადასხვა სახელმწიფოებსა და ლობისტურ ჯგუფებს შორის ურთიერთობებისა და პოლიტიკური ვაჭრობის შედეგი. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე და მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით აუცილებელია ამ სამი თეორიის ერთობლივი, კომპლექსური შესწავლა/გამოყენება, რამდენადაც დღევანდელი დაძაბული გარემო ხელისუფლებისგან მოითხოვს სწრაფ და მოქნილ რეაგირებას, რათა შენარჩუნებულ იქნას მშვიდობა მინიმუმ ქვეყნისთვის და უზრუნველყოფილ იქნას ეკონომიკური პროცესების ურყევი განვითარება.

ეროვნული ინტერესების ძირითადი შემადგენელი - [6]სახელმწიფოს სუვერენიტეტი, ე.ი. საშინაო და საგარეო საქმეებში სრული დამოუკიდებლობა

2 Кортунов С. В. Современная внешняя политика России: стратегия избирательной вовлеченности. М.: ГУ ВШЭ, 2009. 161

3 ბუცხრიკიძე ა.. გეოპოლიტიკა და სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების პრობლემები. თბ. 2008. 38

4 გრიგოლია გ.- საქართველოს გეოპოლიტიკა, საერთაშორისო გამოწვევები და პერსპექტივები.“, რეფერინირებული და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი, „საისტორიო-ვერტიკალები“ თბ.2013 N27, 97

5 Allisons G. Essence of decision: Exploring the Cuban missile crisis. Boston, 1971. 212

6 გორგილაძე ი.. გეოპოლიტიკის საფუძვლები, გამომცემლობა „უნივერსალი,“ თბ. 2009. 40

- წყობისა და ცხოვრების წესის თავისუფალი არჩევანის უფლებაა. ეროვნული ინტერესები, როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური კატეგორიაც არის. ობიექტური იმიტომ, რომ ის სახელმწიფოს ობიექტური რეალიებით იკვებება. სუბიექტური კი იმიტომ, რომ ინტერესების რეალიზებას ძირითადად ლიდერები ახდენენ თავიანთი უნარისა და ხედვის შესაბამისად. გარდა ამისა, ეროვნული ინტერესი, როგროც წესი უკიდურესად იდეოლოგიზირებულია და ყოველთვის საზოგადოების განსაზღვრულ სტერეოტიპებს ეფუძნება - განსაზღვრავს რა ხალხის ქცევასა და მოღვაწეობას. ის შეიძლება არა რეალისტურიც იყოს, შეიძლება არ ითვალისწინებდეს გეოპოლიტიკის სხვა სუბიექტების ეროვნულ ინტერესებს და ა.შ. ფაშისტურმა გერმანიამ მეორე მსოფლიო ომის გადაღებისას არ გაითვალისწინა სხვადასხვა სოციალური ფორმაციების სახელმწიფოთა მონაწილეობით ეფექტური ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნის შესაძლებლობა. ეროვნული ინტერესები ისტორიული გამოცდილების, სახელმწიფო პოტენციალის, მისი რესურსების, სამხედრო შესაძლებლობებისა და გეოპოლიტიკური რეალიების შესაბამისად ყალიბდება. მათი უზრუნველყოფა ხდება სახელმწიფოში არსებული ყველა საშუალებებითა და რესურსებით. პოლიტიკური, იდეოლოგიური, ეკონომიკური, დიპლომატიური, სამხედრო და ა.შ. „საგარეო პოლიტიკის მიზნების ეროვნული ინტერესების ტერმინებში უნდა განისაზღვროს და მხარდაჭერილი იქნას სახელმწიფოს ძალით." ის ელიტის საქმიანობის საფუძველიცაა. ცვლილება უმაღლეს ეშელონებში არაერთხელ გამხდარა გეოპოლიტიკური პრიორიტეტების ცვლის მიზეზი.

საერთაშორისო ურთიერთობებში ძირითადი სუბიექტია სახელმწიფო. ძირითადი მამოძრავებელი იდეა - სახელმწიფო ინტერესები. განმსაზღვრელი ფაქტორები - ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური ძალა. ძირითადი რეგულატორი - ძალთა თანაფარდობა. ბ. როზენის თეორიაში მოდერნიზმი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში სახელმწიფო შემდეგნაირადაა განსაზღვრული: ორგანიზაციული სტრუქტურებისაგან შემდგარი არაერთგვაროვანი არა მონოლითური მასისგან შემდგარი ინსტიტუტი. ასეთ შემთხვევაში საგარეო პოლიტიკაზე გავლენას ხუთი ფაქტორი ახდენს[7]. ინდივიდუალური, სამთავრობო, სახელმწიფო მოღვაწეთა გარეგნული როლი, საზოგადოებრივი და სისტემური. ცივილიზაციის ისტორიაში უამრავი ფაქტი არსებობს ამ და სხვა მეცნიერების მიერ ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნების დამადასტურებელი. თუმცა მე-20 და 21-ე საუკუნეების საერთაშორისო პოლიტიკამ ბევრი სხვა მოვლენა და ფაქტორი სხვაგვარად წარმოაჩინა, რომელთა გაუთვალისწინებლობა დამღუპველად იმოქმედებს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაზე.

გ. ალისონის ს. მილსისა და ფ.მილედას მიერ აღწერილი ფაქტების ანალიზი ცხადყოფს, რომ, პოლიტიკური ელიტისა და დასავლური ჯგუფების პოლიტიკის უმთავრესი სისუსტეა დასავლეთის პოზიცია რუსეთთან მიმართებით, შესაბამისად ურთიერთობის მთელი ეს ისტორია რუსეთის მიერ მიღწეული ყველა ზავის ცალმხრივად დარღვევისა და აგრესიული საგარეო პოლიტიკის მაგალითებითაა სავსე. დასავლეთმა არ გაითვალისწინა ეს ფაქტორები და დღესაც რუსეთთან აწარმოებს მოლაპარაკებებისა და ვაჭრობის პოლიტიკას. აღნიშნულ სიტუაციას რუსეთის პოლიტიკური ელიტა კარგად იყენებს და ატარებს აგრესიულ საგარეო პოლიტიკას. თანაც თავის აგრესიულ სურვილებს ყოველ ახალ ქმედებასთან ერთად ზრდის. მაგალითებისთვის კმარა 2008 წლის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ და 2014 წელს თავად რუსეთის მიერ აღიარებული გარანტორების პირობების დარღვევა რუსეთის ფედერაციის მხრიდან და უკრაინის ტერიტორიების ოკუპაცია. ამ ქმედებებზე დასავლეთის ლიბერალური არაადეკვატური რეაგირების შედეგია 2022 წლის თებერვალში რუსეთის მიერ დაწყებული აშკარა დამპყრობლური ომი უკრაინის წინააღმდეგ.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის და საგარეო პოლიტიკის თეორიის შემუშავებისას აღნიშნული ფაქტორები აუცილებლად გასათვალისწინებელია. განსაკუთრებული მნიშვნელობა ასევე ენიჭება საქართველოს ეკონომიკური განვითარების კურსს. ერთის მხრივ ეკონომიკურად ძალიან სასარგებლო დაახლოება რუსეთთან გარკვეულ ბიძგს აძლევს ქართული ეკონომიკის განვითარებას, თუმცა ამავე დროს საშიშროებასაც წარმოადგენს. რამდენადაც ეკონომიკურად დამოკიდებულს ხდის რუსეთის ეკონომიკის ნება-სურვილზე. მაგალითისათვის საკმარისია საქართველოს სრული დამოკიდებულება რუსულ მარცვლეულზე. საქართველოსთვის ტრადიციული მეღვინეობა მევენახეობის ნაწარმის გასაღების დამოკიდებულებამ რუსულ ბაზარზე იმდენად დააგდო წარმოებული პროდუქციის ხარისხი, რომ არაკონკურენტუნარიანი გახადა ზოგიერთი კომპანიის მიერ წარმოებული ღვინო. აღნიშნული მაგალითები ნათლად გვიჩვენებს საქართველოს სწრაფვას რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციისთვის, თუმცა ამავე დროს საფრთხის შემცველიცაა. საქართველოს მიერ გადადგმული ნაბიჯები რუსეთის მიერ შეიძლება აღქმული იქნას ტერიტორიულ დანაკარგებთან შეგუებად. რაც ნეგატიურად აისახება საქართველოს მდგომარეობაზე.

7 სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი. თბ. 2004. 245

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში[8] საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის შემუშავებისას ასევე გათვალისწინებულ უნდა იყოს დასავლეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები და მათ მიერ საქართველოს მხარდასაჭერად განხორციელებული ქმედებები. 2008 წლის აგვისტოს ომმა და მასზე დასავლეთის რეაქციამ ჩვენი ქვეყანა ლამის აგრესორის როლში გამოიყვანა. ეს მკაფიო გზავნილი იყო საქართველოსადმი, რომ დასავლეთი არ აპირებს რაიმე სახის დახმარება აღმოუჩინოს რუსეთის ჰეგემონიისაგან გათავისუფლების მსურველ ქვეყნებს. (შედეგი რუსეთ-უკრაინის ომი). თუმცა დასავლეთის ეკონომიკური ინტერესები რეგიონის, განსაკუთრებით კი საქართველოს მიმართ (როგორც რეგიონის საკვანძო ქვეყანა) კვლავაც მაღალი ინტერესის სფეროს წარმოადგენს. საგარეო პოლიტიკაში ამ ფაქტორების უგულებელყოფა დიდი შეცდომა იქნებოდა.

საქართველო როგორც ევროპისა და აზიის გზა გასაყარზე მდებარე ქვეყანა განუწყვეტლივ იპყრობდა ძლიერი მეზობლების ყურადღებას. რამდენადაც ეს ქვეყნები განსხვავებულ პერიოდებში განსხვავებული სამხედრო პოლიტიკური ძალისა და ზეგავლენის ქვეყნები იყვნენ, ყოველთვის ცდილობდნენ თავიანთი კონტროლისთვის დაექვემდებარებინათ ევროპა-აზიის კავკასიური დერეფანი. ამდენად საქართველო მუდმივად ბრძოლის ასპარეზს წარმოადგენდა და მხოლოდ საკუთარი ძალებით უნდა შეენარჩუნებინა ეროვნული და პოლიტიკური თვითმყოფადობა.

ამ ისტორიული ფაქტორების გათვალისწინებით დროთა განმავლობაში სქართველომ გამოიმუშავა გარკვეული საგარეო პოლიტიკური ტრადიციები. რუსეთის იმპერიის, შემდგომ კი სსრკ-ს შემადგენლობაში მოქცევამ 200 წლით შეაჩერა ქართული პოლიტიკური ტრადიციების განვითარება, რომელიც დღეს მეცნიერულ შესწავლასა და აღდგენას საჭიროებს.

ქართულ ბუნებაში ღრმად გადგმულმა თვითგადარჩენის ინსტიქტმა სსრკ-ს დაშლის შემდეგ თავი იჩინა ქართული დიპლომატიის რეანიმაციაში. ქართული საგარეო პოლიტიკა ყოველთვის ცდილობდა დიდ ქვეყნებთან ურთიერთობისას პრიორიტეტი ყოფილიყო ინტელექტი და დიპლომატია და არა ძალა. ქართული დიპლომატია დღესაც ამავე კურს ირჩევს და დიდ იმპერიებთან ურთიერთობისას ცდილობს სწორი კურსის არჩევას, როგორც უსაფრთხოების გარანტი. საქართველოს თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო ხშირად უწევდა და დღესაც უწევს ლავირება ორ ან მეტ იმპერიას შორის.

მე-20 საუკუნის ამერიკელი მეცნიერი არნოლდ ვოლფერსი[9] აღნიშნავდა, რომ სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმმართველი უნდა იყოს ეროვნულ ინტერესებზე დაყრდნობილი, რომელიც უპირველეს ყოვლისა მოიცავს ტერიტორიულ მთლიანობასა და დამოუკიდებლობის სურვილს. იგი ასევე აღნიშნავდა რომ სუსტ და პატარა ქვეყნებს შეუძლიათ წარმატებული პოლიტიკა გააატარონ თუ კი ისინი სწორად გამოიყენებენ თავიანთ შესაძლებლობებს. სწორედ ამ მიზნების მისაღწევად სასიცოცხლოდ საჭიროა ინტელექტუალურად მაღალ დონეზე მდგარი სპეცსამსახურები და ჯარი. (ისტორიული გამოცდილებაც სწორედ ამას გვასწავლის).

ასევე პრიორიტეტულია ქართულ ეროვნულ სულისკვეთებაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო სისტემის თანამედროვე რეალობებთან და გამოწვევებთან შესაბამისობაში მოყვანა.

რელიგია (ნებისმიერი მიმდინარეობა) სრულად უნდა იქნეს გამიჯნული სახელმწიფო პოლიტიკისაგან. რელიგიის ერთადერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია არის მაღალი ზნეობრივი წესების დანერგვა. ქართველ ისტორიკოსთა უმრავლესობა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას გეოპოლიტიკური სტრატეგიის განვრცობას და ახალ ეტაპზე გადაყვანას უკავშირებს. ეს იყო იძულებითი ნაბიჯი ირანული სივრციდან გამოსვლის და დასავლურ, რომაულ სივრცეში ინტეგრაციის გზაზე. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც თვით ქრისტიანობა გაგებულია როგორც დასავლური ცივილიზაციის საფუძველი და ის ძირითადი ფაქტორი რაც დასავლეთთან გვაკავშირებს. საქართველოს ოქროს ხანაში დავით აღმაშენებლის მიერ განხორციელებული საეკლესიო რეფორმა დღეისათვის სახელმძღვანელოდ უნდა იქცეს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მსოფლიოში ადგილი აქვს გეოპოლიტიკურ ძვრებს და ახალი მსოფლიო არქიტექტურის ჩამოყალიბებას. აუცილებელია არამხოლოდ დასავლეთ-ევროპული ახალი და აღმოსავლეთ-ევროპული ტრადიციების ცივილიზაციათა შორის დიალოგი, არამედ მუსულმანურ სამყაროსთან ურთიერთობის ახალი მოდელის ძიება. [10]

ქართული საგარეო პოლიტიკის (საშინაო) მთავარი საკითხია მისი დამოკიდებულება სხვა ცივილიზაციების, ეთნოსის, რელიგიისა თუ რასისა სოციალური თუ პოლიტიკური მსოფლმხედველობებისადმი. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებშია საგარეო პოლიტიკის კაცთმოყვა-

8 საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია.თბ. 2016

9 ვოლფერსი ა.. National Security as an Ambiguous Symbol.თბ. 2008. 481

10 ჩხეიძე ზ. - გეოპოლიტიკური ფაქტორი შავი ზღვის რეგიონში და უსაფრთხოების პრობლემები. რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, „საისტორიო ვერტიკალები.“თბ.2020, N 44

რული (ჰუმანური) დამოკიდებულება.

ჩვენი ქვეყნის ბედია თუ უბედობა, რომ საუკუნეების მანძილზე საქართველო საგარეო და საშინაო პოლიტიკა სხვა ქვეყნების დედაქალაქებში წყდებოდა, დღესაც არის ამის მცდელობა. აღსანიშნავია, რომ ქართველი მეფეები ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოების ქოლგის ქვეშ ამაოდ ეძებდნენ ხსნას. ,,ცივი ომის" პერიოდის დამთავრებისა და სსრკ-ს დანგრევის შემდეგ ძალიან დიდხანს საქართველო დასავლეთის წამყვანი ქვეყნების მხოლოდ პერიფერიული ყურადღების ობიექტად რჩებოდა. ზედმეტად ლიბერალური დასავლეთი საკუთარი ინტერესების დაცვას ვეღარ ახერხებს. (რუსეთ-უკრაინის ომის მაგალითი), თუმცა მისი არსებობის ფაქტორი უნდა იქნეს გათვალისწინებული და ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებისათვის პოზიტიურ კონტექსტში გამოყენებული. უნდა მოხდეს ეროვნული ინტერესების სახელმწიფო ინტერესებთან გაიგივება.

,,სტრატეგიული პარტნიორობისათვის" მნიშვნელოვანია სწრაფვის ობიექტად არჩეულ იქნას მაღალ ინტელექტუალური და მაღალტექნოლოგიური სუბიექტები ან სუბიექტთა ჯგუფები, თუნდაც არაფორმალური სახის. მათთან ურთიერთობა დაბალანსებული უნდა იქნეს რუსეთის მიმართ გააზრებული ზომიერი პოლიტიკით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიმართულებასა და ხასიათს ძირითადად განსაზღვრავდა რელიგიური ფაქტორი, რაც ყველაზე დიდი ინდიკატორი იყო საუკუნეების მანძილზე. საქართველოს საგარეო პოლიტიკა ძირითად გათვლილი იყო ქრისტიანულ სახელმწიფოებზე, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რუსეთთან დაახლოებაში. მე-17 - მე-18 საუკუნეებში რუსეთ-საქართველოს დაახლოების განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა საერთო აღმსარებლობა. ეს ის პერიოდია, როდესაც ,,თეთრი დათვის" გავლენა კავკასიის რეგიონზე იზრდება. ამჯერად სუსტი სახელმწიფოს მოხერხებული მანევრირება გაშიფრული იქნა, ქართულმა ელიტამ ვეღარ შეძლო ბუმბერაზი იმპერიის სათავისოდ გამოყენება.

მე-20 საუკუნე, როდესაც საქართველოში გავრცელდა სოციალ-დემოკრატიული და კომუნისტური იდეოლოგია ქვეყანაში ეს პერიოდი ღირებულებების გადახედვად გვევლინება, რამაც განაპირობა 1921 წელს ქვეყნის გასაბჭოება. 70-იან-80-იან წლებში ქართული სპორტისა და ხელოვნების აყვავებამ ეროვნული ღირებულებების რეანიმაცია გამოიწვია და ბიძგი მისცა 80-90-იანი წლების ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას. მივიწყებიდან ამოიტანა და პერსპექტივები დაუსახა დასავლეთთან ცივილიზებულ ურთიერთობებს. დაიწყო იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფორმაციის ძებნა თანამედროვე გლობალურ პოლიტიკაში ღირსეული ადგილის დასაკავებლად. იგივე მოვლენებმა ნეგატიურად იმოქმედა რუსეთის იმპერიულ სწრაფვაზე პოსტსაბჭოთა სივრცეში ჰეგემონიის შესახებ და შეუქმნა სახელმწიფოს ეთნიკური კონფლიქტები, რომელთაგანაც წარმატებით იქნა რეალიზებული აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ხელოვნურად ინსპირირებული დაპირისპირებები.

ქვეყნისათვის სასარგებლო გეოპოლიტიკური კონცეფციის და გეოსტრატეგიული ხაზის შემუშავებისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა საკუთარი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის შეცნობა,[11] გარკვევა იმისა, თუ რამდენად ფასეულია მოცემული გეოგრაფიული სივრცე, რა პრობლემებს ბადებს იგი არამარტო საკუთარი ქვეყნისათვის, არამედ ზე სახელმწიფოებისთვისაც. სწორედ იმის გამო, რომ ვერ შევიცანით ჩვენი და მთელი სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკური სივრცის კანონზომიერებანი, შედეგია იმ უბედურებისა რაც ბოლო ათეული წლების მანძილზე დაგვატყდა თავს. ე.წ. აგრესიული ფაქტორის უგულებელყოფამ მიგვიყვანა სავალალო შედეგებამდე.

მსოფლიო პოლიტიკაში რუსეთი ანგარიშგასაწევი ძალაა, შეუძლებელია იმ რეალობის არ დანახვა, რომ დღეს რუსეთი მეტოქეობს აშშ-ს საყრდენ პლაცდარმების შექმნაში. ე.წ. ფინეთიზაციის პოლიტიკის გატარებით ცდილობს წინ აღუდგეს ნატოსა და ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოებას. სწორედ ამისთვის იქნა სამხრეთ-ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტების ინსპირირება და 2008 წელს მათი დამოუკიდებლობის ცნობა. იგივე მიზნებს ემსახურებოდა 2014 წელს უკრაინის წინააღმდეგ დაწყებული აგრესია და 2022 წლის 24 თებერვლის რუსეთის სამხედრო ძალების შეჭრა უკრაინაში და დღემდე მიმდინარე საომარი ოპერაციები.

დღევანდელი გადმოსახედიდან საქართველო აშშ-ის და რუსეთის ინტერესებს ეწირება, მაშინ როდესაც არც აშშ-ს და არც რუსეთს აღარ აწყობთ საქართველოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც ცდილობდა ბალანსირებას ორ ზე სახელმწიფოს შორის.

იმდენად რამდენადაც ნებისმიერი პოლიტიკური მოქმედება, რომელიც სიტუაციას აამოძრავებს, გულისხმობს როგროც წესი ,,შესაძლებლობათა მარაოდან" ერთ-ერთი სამოქმედო სცენარის ამორჩევას. ეს არჩევანი შეიძლება გაკეთდეს ან ცალსახა ანდა კომპრომისულ საფუძველზე.[12]

11 რონდელი ალ., კავშირები პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკაში „ქართული დიპლომატია," ტ.10. თბ.2003. 22
12 ამირგულაშვილი მ.. საჯარო პოლიტიკის პროცესი და ანალიზი. თბ. 2018, 105

დასკვნა

საქართველოს უსაფრთხოების გარანტია იყო და არის აქტიური საგარეო პოლიტიკა, რომელიც დაფუძნებულია ქვეყნის ეკონომიკურ და სამხედრო ძლიერებაზე და მიმართულია რეგიონში სტაბილური განვითარებადი ეკონომიკის, ლიბერალური სოციალური გარემოს, ერთა შორის მშვიდობიანი და პოზიტიური თანამშრომლობის პრეცენდენტის შექმნისაკენ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, პოლიტიკური სიტუაცია თავისი განვითარების ნებისმიერ ეტაპზე წინააღმდეგობრივი და შესაბამისად პრობლემატურია.

განვითარებადი გეოპოლიტიკური არქიტექტურა უფრო უსაფრთხო გახდება, თუ იგი ჩამოყალიბებული ქნება რეგიონალური ბიპოლარულობის პრინციპებზე. ბიპოლარული სამყარო უფრო სტაბილურია, ვიდრე ერთპოლარული მსოფლიო, არამხოლოდ გლობალური, არამედ რეგიონალურ დონეზე. დღის წესრიგში დგება საკითხი სამხრეთ კავკასიის რეგიონში ხანგრძლივი პოლიტიკური ან სამხედრო-პოლიტიკური სტრუქტურის შექმნასთან დაკავშირებით, რომელიც უზრუნველყოფდა მოცემული რეგიონის უსაფრთხოების გარანტიას. როდესაც საქმე საგარეო პოლიტიკას ეხება, ფაქტობრივად ყველა პოლიტიკური პროცესი უნდა შეჩერდეს. ამის მიზეზი ისაა, რომ საგარეო პოლიტიკა ქვეყნის უსაფრთხოებას უკავშირდება და აქ უკვე ყველა ერთი აზრზე უნდა იყოს. ვინაიდან ქვეყნის უსაფრთხოების და სტრატეგიულ ინტერესების დაცვა ყოველი მოქალაქის ვალია პარტიული და იდეოლოგიური განსხვავებების მიუხედავად. განვიხილეთ რა საგარეო პოლიტიკის ძირითადი თეორიები, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მათი გამოყენების არეალი საკმაოდ ფართოა. სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა როგორც ზემოთ აღინიშნა, აღნიშნულ თორიებზე დაყრდნობით შეიმუშაოს ისეთი სტრატეგიები, რომლებიც გამომდინარეობს ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესებიდან. მიზანშეწონილია სახელმწიფო სტრუქტურებმა პერიოდულად ჩაატარონ უსაფრთხოების კვლევები, რაც დაეხმარება მათ სტრატეგიების სწორად შერჩევაში. უახლოეს მომავალში შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკური მდგომარეობისათვის დამახასიათებელი იქნება არა მხოლოდ ნატოს, ევროკავშირის, რუსეთისა და თურქეთის ინტერესის შეჯახება, არამედ ჩინეთის ევრაზიული კომუნიკაციებისა და ენერგო რესურსების ტრანსპორიტებაზე რეალურ, ეკონომიკურ-პოლიტიკური შესაძლებლობათა კონტროლის ჩათვლით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ შექმნილ ვითარებაში ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია მეტად იყოს წარმოდგენილი საერთაშორისო ასპარეზზე. პირველხარისხოვანი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მშვიდობას, უსაფრთხოებასა და ურთიერთზემოქმედების მაგალითების შესწავლას ევროპის მსგავს რეგიონებში, ბალტისპირეთის ქვეყნებსა და ანდრიატიკაში. საქართველოს, როგორც არაერთხელ იქნა აღნიშნული უმთავრესი სტრატეგიული მიზანია ქვეყნის სუვერენიტეტის გამტკიცება და ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენა. რაც შეეხება ევროკავშირისა და ნატოში წევრობას ყოველივე უსაფრთხოების, განვითრების, კეთილდღეობის უზრუნველყოფის მთვარ გარანტიას წარმოადგენს, რომელიც საქართველოს ცივილიზაციურ არჩევანს ეფუძნება, არის ფართო საზოგადოებრივი თანხმობის შედეგი და გამყარებულია სახელმწიფოს ძირითადი კანონით - კონსტიტუციით. ამდენად, თუკი ჩვენ პრეტენზია გვაქვს, რომ ჩვენს სახელმწიფოში დანერგილი სისტემები და ინსტიტუტები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე სტანდარტებთან, უნდა ვიფიქროთ იმაზეც თუ რა საფრთხეებისა და გამოწვევების წინაშე ვდგავართ სამომავლოდ და გამომდინარე აქედან განვსაზღვროთ ჩვენი სამომავლო პერსპექტივები.